საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/01/2026

MES 5 26 0000047137

გადაწყვეტილება
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების" 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო

უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №1177912 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების ,,სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო და ,,სურსათის ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) მოხსნა 1.1 ქვესტანდარტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია ''რეკომენდებულია, კიდევ უფრო გაძლიერდეს შესაბამისობა პროგრამის მიზნებს, უნივერსიტეტის სტრატეგიულ კვლევით პრიორიტეტებსა და ეროვნული სურსათის სისტემის განვითარების მიზნებს და მოხდეს მათი სისტემატური დოკუმენტირება, განსაკუთრებით დოქტორანტურაში."

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე 1.1 ქვესტანდარტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

ბ) 1.2 ქვესტანდრატში მოხსნა 2 კლასტერული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების უფრო მეტად სისტემატიზაცია ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში მკაფიო ინდიკატორების, მონაცემთა წყაროებისა და პასუხისმგებელი ერთეულების განსაზღვრით;

2. რეკომენდებულია, დაზუსტდეს სწავლის შედეგების ვერტიკალური პროგრესიის წესები, რომ მე-8 დონის შედეგები სიღრმისეულად, ავტონომიურად და კვლევითი კომპეტენციით აშკარად აღემატებოდეს მე-6 დონეს.

აღნიშნულს არ გამოუწვევია კომპონენტის შეფასების ცვლილებას.

გ) 1.3 ქვესტანდარტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, შეიმუშაოთ და დანერგოთ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული ჩარჩო, გაზომვადი ინდიკატორების, მონაცემთა წყაროების და პასუხისმგებელი ერთეულების მითითებით" - გადავიდა რჩევაში შემდეგი სახით: "სასურველია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული ჩარჩო."

1.3 ქვესტანდარტის შეფასება ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

დ) 2.1 ქვესტანდარტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, გააძლიეროთ პროგრამაზე მიღებისა და პროგრესიის შესახებ არსებული მონაცემების ანალიტიკური გამოყენება (სტუდენტთა პროგრესი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვა), რომ ეს ინფორმაცია გაითვალისწინოთ საბაკალავრო და სადოქტორო საფეხურებზე სტუდენტთა მიღების დაგეგმვის პერიოდული განხილვისას." - გადავიდა რჩევაში შემდეგი სახით: " სასურველია, გააძლიეროთ პროგრამაზე მიღებისა და პროგრესიის შესახებ არსებული მონაცემების ანალიტიკური გამოყენება (სტუდენტთა პროგრესი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვა), რომ ეს ინფორმაცია გაითვალისწინოთ საბაკალავრო და სადოქტორო საფეხურებზე სტუდენტთა მიღების დაგეგმვის პერიოდული განხილვისას."

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე 2.1 ქვესტანდარტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

ე) 2.2 ქვესტანდარტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია - "რეკომენდებულია მსუბუქი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა უნარების განვითარების ეფექტიანობის შესაფასებლად (მაგ., სტუდენტთა უკუკავშირი, კურსდამთავრებულთა შედეგები, დამსაქმებელთა მოსაზრებები) და მიღებული შედეგების გამოყენება პროგრამების გაუმჯობესების მიზნით." - გადავიდა რჩევაში შემდეგი სახით: "ნერგვა უნარების განვითარების ეფექტიანობის შესაფასებლად (მაგ., სტუდენტთა უკუკავშირი, კურსდამთავრებულთა შედეგები, დამსაქმებელთა მოსაზრებები) და მიღებული შედეგების გამოყენება პროგრამების გაუმჯობესების მიზნით."

2.2 ქვესტანდარტის შეფასება ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

ვ) 2.4 ქვესტანდარტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია - "რეკომენდებულია შეფასების პოლიტიკის დახვეწა, რათა უზრუნველყოფილი იყოს შემაჯამებელი და განმავითარებელი შეფასების დაბალანსებული და სისტემური კომბინაცია, უკუკავშირის მიწოდების ვადებისა და შინაარსის მკაფიო განსაზღვრით." - გადავიდა რჩევაში შემდეგი სახით: "სასურველია, შეფასების პოლიტიკის დახვეწა, რათა უზრუნველყოფილი იყოს შემაჯამებელი და განმავითარებელი შეფასების დაბალანსებული და სისტემური კომბინაცია, უკუკავშირის მიწოდების ვადებისა და შინაარსის მკაფიო განსაზღვრით.";

ზ) 2.4 ქვესტანდარტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია მოიხსნა: "რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირის გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგსა და პროგრამის პერიოდულ მიმოხილვაში შედეგებთან დაკავშირებული ინდიკატორების ინტეგრირებით".

აღნიშნულ ცვლილებებს არ გამოუწვევია 2.4 კომპონენტის ცვლილება;

ზემოსხენებული ცვლილებების საფუძველზე არ შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება;

თ) მოიხსნა 4.2 კომპონენტში არსებული მე-2 რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ხელმძღვანელები, რათა კიდევ უფრო შეუწყონ ხელი დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარებას დამოუკიდებლად სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებითა და მეთოდოლოგიური სემინარების საშუალებით." თუმცა აღნიშნულის საგუძველზე არ შეიცვალა კომპონენტის შეფასება.

ლ) რეკომენდაციის შინაარსიდან გამომდინარე შეცვალა 4.4 კომპონენტის შეფასება და ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

ზემოხსენებულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასბის დვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,სურსათის ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 30.12.2032-მდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო და ,,სურსათის ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის სხდომის №46590 ოქმის №1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
   - **რეკომენდაციები:**
   - რეკომენდებულია, გააძლიეროთ კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკების, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტის, პრაქტიკული გამოყენება, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ერთმანეთთან შესაბამისობის მონიტორინგისთვის.
   - რეკომენდებულია, დოქტორანტურის სწავლის შედეგებსა და კვლევის შედეგებს შორის კავშირის გაძლიერება დარგის შესაბამისი სამიზნე ნიშნულების (მაგ., პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა) განსაზღვრით.
   - რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლში ინტეგრირება, შეფასების მონაცემების სისტემატური ანალიზისა და დოკუმენტირების გაუმჯობესების გზით.
   - რეკომენდებულია, კლასტერში სწავლის შედეგების მიღწევისა და აკადემიური პროგრესის მონიტორინგის მიზნით, ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის დონეებს შორის ერთიანი მონიტორინგის მიდგომის შემუშავება.
   - რეკომენდებულია, დოქტორანტურის შედეგების მონიტორინგის სტრუქტურირებული მექანიზმის დანერგვა, რომელიც კვლევის პროგრესს, პუბლიკაციებსა და გავრცელების აქტივობებს დოქტორანტურის სწავლის შედეგებთან დააკავშირებს.
   - რეკომენდებულია, არსებული სილაბუსების, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოყენების სისტემატიზაცია; ამ მიზნით, მკაფიო მოთხოვნა დააწესეთ, რომ პერიოდული მიმოხილვების დროს კურსის სწავლის შედეგებს, შეფასების მეთოდებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა იყოს დოკუმენტურად აღრიცხული.
   - რეკომენდებულია, გაძლიერდეს საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების სილაბუსებს შორის დონეების დიფერენციაციის დოკუმენტაცია, რათა ნათლად იყოს წარმოჩენილი მე-6 და მე-8 დონის მოლოდინები, განსაკუთრებით საერთო საგნობრივ თემებში.
   - რეკომენდებულია, დოქტორანტურის კურსის სილაბუსები ბაკალავრის დონის შინაარსისგან მკაფიოდ განასხვავოთ მე-8 დონის კვლევის სიღრმის (მოწინავე მეთოდოლოგია, კრიტიკული სინთეზი და კვლევის შედეგებზე ორიენტაცია) ცალსახად ინტეგრირებით.
   - რეკომენდებულია კლასტრის ფარგლებში პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების სისტემატიზაცია, ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის საფეხურებზე მოსალოდნელი კომპეტენციის დონეების მკაფიოდ განსაზღვრით და იმის დოკუმენტირებით, თუ სად, როგორ და რა გზით მიიღწევა და ფასდება აღნიშნული კომპეტენციები.

- რეკომენდებულია არსებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და დაგეგმილი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის მოცულობის თანხვედრის გაძლიერება, რათა უნარების განვითარების მოლოდინები რეალისტურად შეესაბამებოდეს აღჭურვილობას, უსაფრთხოების პირობებსა და პერსონალის შესაძლებლობებს.
- რეკომენდებულია კლასტრის მასშტაბით სტუდენტზე ორიენტირებული და აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენების მეტად სისტემატიზაცია, სწავლების მიდგომების სწავლის შედეგებთან მკაფიო დაკავშირებით და კურსებისა და სწავლის ყველა საფეხურზე მათი უფრო თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველყოფით.
- რეკომენდებულია პედაგოგიური განვითარების რეგულარული, მსუბუქი მექანიზმის დანერგვა (მაგ., მიზნობრივი ტრენინგები, თანატოლთა დაკვირვება, კარგი პრაქტიკის გაზიარება), რომელიც ორიენტირებული იქნება გამოყენებით მეცნიერებებსა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებაზე.
- რეკომენდებულია სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული სტუდენტთა უკუკავშირის სისტემური ანალიზის უზრუნველყოფა და მისი გამოყენება კურსისა და პროგრამის დონეზე საჭირო ცვლილებების დასაგეგმად.
- რეკომენდებულია მსუბუქი მოდერაციისა და კალიბრაციის პროცედურების დანერგვა (მაგ., შეფასების დავალებების რეცენზირება ან შერჩევითი ორმაგი შეფასება), კურსებსა და მასწავლებლებს შორის სამართლიანობისა და თანმიმდევრულობის გასაძლიერებლად.
- რეკომენდებულია პლაგიატის გამოვლენისა და შეფასების მართვისთვის ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების შემდგომი სისტემატიზაცია, განსაკუთრებით წერილობითი დავალებებისა და ნაშრომების შემთხვევაში.
- რეკომენდებულია დოქტორანტთა აკადემიური პროგრესის შეფასების ფორმალიზება, დოკუმენტირებული წლიური მიმოხილვებით, რომლებიც მოიცავს გეგმასთან შესაბამის პროგრესს, მიღწეულ შედეგებსა და სტრუქტურირებულ უკუკავშირს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ხელმძღვანელები, რათა კიდევ უფრო შეუწყონ ხელი დოქტორანტების დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებას და მათ აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებაში, ანალიზსა და გამოყენებაში მთელი კვლევითი პროცესის განმავლობაში.
- რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელთა რაოდენობის შიდა რეგულაციებთან (1 ხელმძღვანელი + 1 თანახელმძღვანელი) შესაბამისობაში მოყვანა და მათი დისციპლინური პროფილების გაფართოება.
- რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელთა რაოდენობა შეესაბამებოდეს შიდა რეგულაციებს (1 ხელმძღვანელი + 1 თანახელმძღვანელი) და გაფართოვდეს მათი სპეციალობების სპექტრი.
- რეკომენდებულია არსებული სადოქტორო ხელმძღვანელობის ჩარჩოს შემდგომი სისტემატიზაცია, დოკუმენტაციის, პერიოდული შეფასებისა და პროფესიული განვითარების კომპონენტების გაძლიერების გზით.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს ინტერნაციონალიზაცია ხელმძღვანელობის პროცესში თანახელმძღვანელობის ჩართვითა და მობილობის პროგრამების საშუალებით.
- რეკომენდებულია, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის მოდერნიზაცია და უსაფრთხოების დოკუმენტაციის განახლება.
- რეკომენდებულია, გამრავალფეროვნდეს დოქტორანტურის კვლევების დაფინანსების წყაროები ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო სქემების გამოყენებით.

- რეკომენდებულია, დაიგეგმოს ლაბორატორიების პერიოდული განახლება ცენტრალური ბიუჯეტის ფარგლებში.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასოს და გააანალიზოს ლაბორატორიებში არსებული მდგომარეობა, რაც გულისხმობს როგორც მატერიალური რესურსების მდგომარეობის შეფასებას, ასევე ლაბორატორიის პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას (მაგალითად, ტრენინგებს ლაბორატორიის მოწყობის, უსაფრთხოების წესების, ნივთიერებების შენახვისა და სხვა შესაბამის საკითხებზე).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 30 დეკემბერს.
7. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 30 დეკემბრამდე.
8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

ეროვნული სააგენტო
ზუსტად სწორია
ელექტრონულად

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სურსათის ტექნოლოგია Food technology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N769521, 22.06.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სასურსათო ტექნოლოგია Food Technology
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სურსათის ტექნოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0721 სურსათის გადამუშავება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	ქართული უნივერსიტეტის ქ. №1, თელავი, 2200, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.12.2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად ვადა 1 წელი 30.12.2026
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	30.12.2032